

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი

1. მიზანი

1.1 წინამდებარე წესი აწესრიგებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ათვისების პროცედურებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2012 წლის 26 ივნისს № 704 დადგენილებით დამტკიცებული „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების“ შესაბამისად.

1.2 წესის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამაზე მუშაობას, დროის ეფექტიანად დაგეგმვას, აკადემიური რესურსის რაციონალურად გამოყენებას, აკადემიური და კვლევითი რესურსების ოპტიმიზაციას, შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

2. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი

1. სასწავლო კომპონენტის მიზანი და ელემენტები

2.1.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის. პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს.

2.1.2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს:

- აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდების სასწავლო კურსს – 5 კრედიტი;
- სწავლების მეთოდების სასწავლო კურსს – 5 კრედიტი;
- პროგრამით განსაზღვრული კვლევითი მიმართულების შესაბამის სასწავლო კურსებს, რაც გულისხმობს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სპეციალური და მომიჯნავე საგნის/საგნების სიღრმისეულ სწავლებას – 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობას – 5 კრედიტი;
- ორ თემატურ სემინარს - 30 (15+15) კრედიტი.

2. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები

2.2.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები შესაძლებელია მოიცავდეს ლექციათა ციკლს, ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მუშაობას და სტუდენტის სხვა დატვირთვას.

2.2.2. შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსით და ეცნობება სტუდენტს სემესტრის დასაწყისში.

2.2.3. პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსის სწავლებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

2.2.4. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული საკითხების ათვისება უნივერსიტეტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით. სასწავლო კურსი დოქტორანტს ჩაბარებულად ეთვლება, თუ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგად იგი დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

2.2.5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსის დადებით შეფასებად ითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

2.2.6. პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსის უარყოფით შეფასებად ითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. პროფესორის ასისტენტობა

2.3.1. დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში.

2.3.2. პროფესორის ასისტენტობის მიზანია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დოქტორანტის მომზადებას მომავალი შესაძლო პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

2.3.3. პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს შესაბამისი სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯგუფში მეცადინეობების - სემინარის, ლაბორატორიული სამუშაოს, პრაქტიკულის ჩატარებას, შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადებას, სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას. პროცესი მიმდინარეობს დოქტორანტის ხელმძღვანელის მონაწილეობითა და მონიტორინგით.

2.3.4. დოქტორანტიისთვის, რომელსაც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უკავია მასწავლებლის, უფროსი მასწავლებლის ან ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობა ან მოწვეული სპეციალისტის სახით უძღვება სასწავლო კურსს, პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს ხელმძღვანელთან შეთანხმებით შესაბამისი სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მარტივი სახელმძღვანელოს, ამოცანათა (კაზუსთა) კრებულის, დამხმარე ლიტერატურისა ან სხვა მასალის მომზადებას.

2.3.5. პროფესორის ასისტენტობის მოცულობა შეადგენს 5 კრედიტს ანუ 135 საათს. პროფესორის ასისტენტობის საათობრივი დატვირთვის გაანგარიშება წინამდებარე დოკუმენტს თან ერთვის (დანართი 1).

2.3.6. პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება ხელმძღვანელის მიერ. პროფესორის ასისტენტობა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. ასისტენტობა დოქტორანტს ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

2.3.7. პროფესორის ასისტენტობის დადებით შეფასებად ითვლება:

- (A) - ფრიადი (მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი) - დოქტორანტმა ზედმიწევნით კარგად და სრულად შეასრულა ასისტენტობის კომპონენტ(ებ)ი;
- (B) - ძალიან კარგი (მაქსიმალური შეფასების 81-90%) - დოქტორანტმა სრულად და ძალიან კარგად შეასრულა ასისტენტობის კომპონენტ(ებ)ი, არ დაუშვია არსებითი შეცდომები;
- (C) - კარგი (მაქსიმალური შეფასების 71-80%) - დოქტორანტმა სრულად შეასრულა ასისტენტობის კომპონენტ(ებ)ი, მაგრამ დაუშვა არაარსებითი ხასიათის რამდენიმე შეცდომა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი (მაქსიმალური შეფასების 61-70%) - დოქტორანტმა ასისტენტობის კომპონენტ(ებ)ი დამაკმაყოფილებლად, თუმცა ხარვეზებით შეასრულა;
- (E) - საკმარისი (მაქსიმალური შეფასების 51-60%) - დოქტორანტმა ასისტენტობის კომპონენტ(ებ)ი ნაწილობრივ შეასრულა. დაუშვა რამდენიმე არსებითი ხასიათის შეცდომა.

2.3.8. პროფესორის ასისტენტობის უარყოფით შეფასებად ითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა (მაქსიმალური შეფასების 41-50%) - დოქტორანტმა ასისტენტობის კომპონენტ(ებ)ი არასრულად შეასრულა. მისი მიდგომები მცდარია; ვერ გამოამჟღავნა დასახული ამოცანის განსახორციელებლად საჭირო უნარები. დაუშვა რამდენიმე არსებითი შეცდომა;
- (F) - ჩაიჭრა (მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები) - დოქტორანტმა შეასრულა ასისტენტობის კომპონენტ(ებ)ის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები და/ან არაადეკვატურად შეასრულა ასისტენტობის კომპონენტ(ებ)ი და/ან ასისტენტობის კომპონენტ(ებ)ი არ შეასრულა საერთოდ.

2.3.9. პროფესორის ასისტენტობის შეფასების კრიტერიუმები და თითოეული კრიტერიუმის წილი საბოლოო შეფასებაში მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის მე-2 დანართში.

2.3.10. პროფესორის ასისტენტობის ათვისების შემდეგ დოქტორანტი განივითარების შემდეგ კომპეტენტურობებს: ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; კომუნიკაციის უნარი; ღირებულებები.

4. თემატური სემინარი

2.4.1. სწავლების მეორე წლიდან დოქტორანტი, საგანმანათლებლო პროგრამის სქემით განსაზღვრულ პერიოდში, ამზადებს ორ თემატურ სემინარს. განხორციელებული სასემინარო კვლევის შედეგების პრეზენტაცია და შესაბამისი თემატური სასემინარო ნაშრომის დაცვა ხორციელდება აუდიტორიის წინაშე.

2.4.2. სამეცნიერო - თემატური სემინარის ძირითადი მიზანია დოქტორანტს:

- შესძინოს შესაბამისი საკვლევი თემის ფარგლებში კონკრეტული დარგის/ქვედარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;
- გამოუმუშავოს პრობლემატური საკითხების გაცნობიერების, პრობლემის სწორად და ეფექტიანად გადაწყვეტის, ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავების (გამოყენების), საკითხის კრიტიკული გააზრებისა და ინოვაციური მეთოდებით დამუშავების, აგრეთვე თემატურ დისკუსიაში დასაბუთებულად ჩართვის უნარი.

2.4.3. თემატური სასემინარო ნაშრომის შესრულებისა და მისი დაცვის შემდეგ დოქტორანტი განივითარების შემდეგ კომპეტენტურობებს: ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები.

2.4.4. თითოეული თემატური სემინარის კრედიტების მოცულობა არის 15 ანუ 405 საათი ($15 \times 27 = 405$ სთ), მათ შორის: 20 სთ, კონსულტაციებისთვის და 385 სთ დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

2.4.5. სასემინარო ნაშრომის თემას არჩევს დოქტორანტის ხელმძღვანელი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან შეთანხმებით.

2.4.6. სასემინარო ნაშრომის თემა უნდა ეძღვნებოდეს დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხებს და იგი არ შეიძლება იყოს სადისერტაციო თემის ნაწილი.

2.4.7. თემატური სემინარის ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 15 გვერდისა დანართების გარეშე. ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე, შრიფტი - Sylfaen, ზომა 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე - 20 მმ. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

2.4.8. სემინარის ჩატარების უფლების მოსაპოვებლად დოქტორანტი სასემინარო ნაშრომს წარუდგენს ხელმძღვანელს, რომელიც 4 კომპონენტის საფუძველზე, ახორციელებს სასემინარო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებას (დანართი 3). ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 30 ქულით. შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით $S = 1.5 \times M$, სადაც M არის ოთხივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა.

2.4.9. დასკვნითი შეფასების მიზნით, თემატური სასემინარო ნაშრომი, ხელმძღვანელის შუალედური შეფასებებით, შესაბამისი სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (არაუგვიანეს მე-15 სასწავლო კვირისა) წარედგინება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს.

2.4.10. წარდგენილი სასემინარო ნაშრომის საფუძველზე, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი ახდენს სემინარის ორგანიზებას.

2.4.11. სემინარზე დოქტორანტის ნაშრომს აფასებს 5-9 წევრისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც ქმნის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. კომისიაში შეიძლება შევიდნენ ფაკულტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, მოწვეული პროფესორები და სხვა დაწესებულების სპეციალისტებიც. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.

2.4.12. სემინარის ჩატარების თარიღი და ადგილი უნდა განთავსდეს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილზე სემინარის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე, რათა ნებისმიერ მსურველს შეეძლოს მასზე დასწრება.

2.4.13. სემინარის ფარგლებში დოქტორანტი ახორციელებს სასემინარო კვლევის შედეგების პრეზენტაციას (20–30 წუთი), რომელსაც მოჰყვება დისკუსია.

2.4.14. სასემინარო ნაშრომის, მისი საჯარო პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის შეფასებას კომისიის თითოეული წევრი ახდენს 4 კომპონენტის საფუძველზე მაქსიმუმ 40 ქულით (დანართი 4). თემატური სასემინარო ნაშრომის დასკვნითი შეფასების მაქსიმუმია 40 ქულა. დასკვნითი ქულა განისაზღვრება კომისიის ყველა წევრის მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი შემფასებელთა რაოდენობაზე). შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით $S=2 \times M$, სადაც M არის ოთხივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა.

2.4.15. დოქტორანტის თითოეული თემატური სემინარი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, ორი შუალედური (30+30) და დასკვნითი (40) ქულების ჯამით.

3. საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი

1. კვლევითი კომპონენტის მიზანი და ელემენტები

3.1.1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებელი ჩატარების პრაქტიკული ჩვევების გაღრმავება, პროფესიული კვლევითი კულტურის ფორმირება და განვითარება.

3.1.2. საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი 120 კრედიტს მოიცავს. მისი სავალდებულო ელემენტებია:

- სადისერტაციო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის მომზადება (2 პროსპექტუსი) - (15+15=30 კრედიტი);
- თეორიული/ექსპერიმენტალური კვლევა (3 კოლოკვიუმი) - (15+15+30=60 კრედიტი);
- დისერტაციის დასრულება და დაცვა (30 კრედიტი).

2. სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი

3.2.1. სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი წარმოადგენს მიმოხილვითი კვლევისა და ანალიზის შედეგს, სადისერტაციო ნაშრომის წინასწარ მონახაზს, რომელიც დოქტორანტმა უნდა დაასრულოს სწავლის დაწყებიდან ერთი წლის ვადაში.

3.2.2. პროსპექტუსზე მუშაობა მიმდინარეობს დოქტორანტის ხელმძღვანელთან კონსულტაციების (მათ შორის „ონლაინ“ რეჟიმში) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.

3.2.3. სწავლების პირველი წლის განმავლობაში (პირველ და მეორე სემესტრებში) დოქტორანტი ამზადებს ორ პროსპექტუსს. პირველი პროსპექტუსის მოცულობა შეადგენს 10 კრედიტს ანუ 270 საათს ($10 \times 27 = 270$ სთ). მათ შორის, 25 საათი კონსულტაციებისთვის და 245 სთ დამოუკიდებელი მუშაობისთვის, ხოლო მეორე პროსპექტუსის - 20 კრედიტს ანუ 540 საათს ($20 \times 27 = 540$ სთ). მათ შორის, 25 საათი, კონსულტაციებისთვის და 515 სთ დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

3.2.4. პირველი პროსპექტუსი მოიცავს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებას და კვლევისათვის აუცილებელ ძირითად ბიბლიოგრაფიას, აგრეთვე, საკითხის კვლევის ისტორიას. დოქტორანტმა მოკლედ უნდა მიმოხილოს თუ რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით და რა კეთდება ამჟამად (ვინ მუშაობს და რა მიმართულებით). პროსპექტუსში უნდა ჩანდეს საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალობა, შერჩეული თემის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულებების ლოგიკური განმარტება და დასაბუთება. ავტორმა უნდა იცოდეს თუ რა ტიპის რესურსებს (ლიტერატურა, სტატისტიკა) დაეყრდნობა და სად შეიძლება ამ რესურსის მოძიება.

3.2.5. პროსპექტუსის მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 15 გვერდისა და ნართების გარეშე. ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე, შრიფტი - Sylfaen, ზომა 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე - 20 მმ. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.

3.2.6. სადისერტაციო კვლევის პროექტის/პროსპექტუსის სტრუქტურა (ნაშრომში საკითხების შეტანა ხდება თითოეული პროსპექტუსის მიზნების შესაბამისად):

- შესავალი (ზოგადი დახასიათება, სამეცნიერო სიახლე, აქტუალობა, მიზნები და პრაქტიკული მნიშვნელობა);
- სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა (საკითხის კვლევის ისტორია, საკვლევი საკითხის მდგომარეობა თანამედროვე მეცნიერებაში, რატომ არის ეს საკითხი აქტუალური, რა ეტაპზეა დოქტორანტი შერჩეული წყაროების კვლევის თვალსაზრისით);
- კვლევის მეთოდოლოგია (დოქტორანტის მიერ შერჩეული თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები);

- ძირითადი საკვლევი საკითხები (რა პრობლემების გადაჭრას ისახავს დოქტორატი მიზნად);
- კვლევის მოსალოდნელ შედეგებს (რა შეიძლება იყოს კვლევის მოსალოდნელი შედეგები? რამდენად შეაქვს დოქტორანტი წვლილი დარგის განვითარებაში?);
- დისერტაციის შესრულების სავარაუდო გრაფიკი (კვლევის გეგმას);
- დისერტაციის სავარაუდო სტრუქტურა;
- ბიბლიოგრაფია (პირველწყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა).

3.2.7. პირველი სემესტრის დასრულებამდე, მეშვიდე და მეთოთხმეტე კვირაში დოქტორანტი ხელმძღვანელს წერილობითი ფორმით წარუდგენს პროსპექტუსზე მუშაობის მოცემულ ეტაპზე მიღებულ შედეგებს. ხელმძღვანელი 3 კომპონენტის საფუძველზე აფასებს. ნაშრომს მაქსიმუმ 30 ქულით (დანართი 5). შუალედური შეფასებების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით $S=2 \times M$, სადაც M არის სამივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა.

3.2.8. პროსპექტუსის დასკვნითი შეფასება ხდება დოქტორანტის ხელმძღვანელის მიერ წერილობითი გამოცდის სახით 4 კომპონენტის საფუძველზე (დანართი 5). ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით. შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით $S=2 \times M$, სადაც M არის ოთხივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა.

3.2.9. პირველი პროსპექტუსი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, ორი შუალედური (30+30) და დასკვნითი (40) ქულების ჯამით.

3.2.10. პირველი პროსპექტუსის დადებითი შეფასების შემთხვევაში (51 და მეტი ქულა), დოქტორანტი აგრძელებს სწავლას.

3.2.11. პირველი პროსპექტუსის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში (51-ზე ნაკლები ქულა), დოქტორანტი განმეორებით წარადგენს ნაშრომს არსებული წესის შესაბამისად.

3.2.12. მეორე პროსპექტუსის ავტორს გააზრებული უნდა ჰქონდეს დაგეგმილი კვლევისა და ანალიზის მეთოდები. დოქტორანტმა ლოგიკურით მსჯელობით უნდა დაასაბუთოს წინასწარი შეხედულება/მოლოდინი კვლევის მოსალოდნელი შედეგების შესახებ. მან უნდა ჩამოაყალიბოს საკვლევი პრობლემატიკა, მეთოდოლოგია და კვლევის ძირითადი საკითხები. ამ ეტაპზე დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს აგრეთვე, კვლევის გეგმა.

3.2.13. მეორე სემესტრის დასრულებამდე, მეშვიდე და მეთოთხმეტე კვირაში დოქტორანტი ხელმძღვანელს წერილობითი ფორმით წარუდგენს მეორე პროსპექტუსზე მოცემულ ეტაპზე მუშაობის შედეგებს. ხელმძღვანელი 3 კომპონენტის საფუძველზე აფასებს. ნაშრომს მაქსიმუმ 30 ქულით (დანართი 6). შუალედური შეფასებების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით $S=2 \times M$, სადაც M არის სამივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა.

3.2.14 მეორე პროსპექტუსის დასკვნითი შეფასება ხდება დოქტორანტის ხელმძღვანელის მიერ წერილობითი გამოცდის ფორმით 4 კომპონენტის მიხედვით (დანართი 6). ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით. შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით $S=2 \times M$, სადაც M არის ოთხივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა.

3.2.15. მეორე პროსპექტუსი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, ორი შუალედური (30+30) და დასკვნითი (40) ქულების ჯამით.

3.2.16. მეორე პროსპექტუსის დადებითი შეფასების შემთხვევაში (51 და მეტი ქულა), დოქტორანტი აგრძელებს სწავლას.

3.2.17. მეორე პროსპექტუსის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში (51-ზე ნაკლები ქულა), დოქტორანტი განმეორებით წარადგენს ნაშრომს არსებული წესის შესაბამისად.

3. თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი

3.3.1. სწავლების მეორე წლიდან, დოქტორანტი იწყებს თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევას. კვლევის ფარგლებში დოქტორანტს სწავლების მესამე, მეოთხე და მეხუთე სემესტრებში ევალება სამი კოლოკვიუმის მომზადება, შესაბამისად, არანაკლებ სამი პუბლიკაციის მომზადება და რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება (რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალების ნუსხა დადგენილია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ). სტატიები უნდა ასახავდეს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. ამ პერიოდში დოქტორანტმა ასევე, მონაწილეობა უნდა მიიღოს სულ მცირე ერთ სამეცნიერო კონფერენციაში (პირადად გააკეთოს მოხსენება).

3.3.2. კოლოკვიუმზე წარსადგენი ნაშრომი არის დისერტაციის ნაწილი. კოლოკვიუმი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო თემასთან/მის ცალკეულ ნაწილთან დაკავშირებულ მასალის წარმოდგენასა და პრეზენტაციას. კოლოკვიუმის ძირითადი მიზანია დოქტორანტის ცოდნის სისტემატიზაცია, გაწეული მუშაობის წარმოდგენა/პრეზენტაცია, დოქტორანტის კრეატიული აზროვნების, სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარის გამომუშავება.

3.3.3. კოლოკვიუმი უნდა ასახავდეს თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს. კოლოკვიუმზე დოქტორანტმა უნდა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი, წარმოაჩინოს მიღებული და მოსალოდნელი შედეგები, გააკეთოს მომზადებული ან რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ანალიზი დოქტორანტის მესამე კოლოკვიუმის ფორმატში ხდება სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა-აპრობაცია.

3.3.4. პირველი და მეორე კოლოკვიუმების მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 20 გვერდისა დანართების გარეშე (თითოეულის), ხოლო მესამესი - 40 გვერდისა. ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ² სიმკვრივის ქაღალდზე, შრიფტი - Sylfaen, ზომა 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე - 20 მმ. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით. ნაშრომს უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

3.3.5. დოქტორანტის მუშაობა კოლოკვიუმზე ძირითადად მიმდინარეობს ხელმძღვანელთან კონსულტაციების (მათ შორის „ონლაინ“ რეჟიმში) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში. როგორც პირველი, ასევე მეორე კოლოკვიუმის მოცულობაა თითოეული 15 კრედიტი ანუ 405 საათი ($15 \times 27 = 405$ სთ.). მათ შორის, ხელმძღვანელთან კონსულტაციებისა და თითოეული კოლოკვიუმის ორი შუალედური ანგარიშის შეფასებისათვის - 60 საათი, ხოლო დამოუკიდებელი მუშაობისთვის 750 სთ. მესამე კოლოკვიუმის მოცულობაა 30 კრედიტი ანუ 810 საათი ($30 \times 27 = 810$ სთ.). მათ შორის, ხელმძღვანელთან კონსულტაციებისა და ორი შუალედური ანგარიშის შეფასებისათვის - 60 საათი ხოლო დამოუკიდებელი მუშაობისთვის 750 სთ.

3.3.6. მესამე და მეოთხე სემესტრების დასრულებამდე შესაბამისად მეშვიდე და მეთოთხმეტე კვირაში დოქტორანტი ხელმძღვანელს წერილობითი ფორმით წარუდგენს თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის შესაბამის ეტაპებზე მიღებულ შედეგებს. კვლევის შუალედური შეფასება ხორციელდება დოქტორანტის ხელმძღვანელის მიერ 5 კომპონენტის საფუძველზე (დანართი 7). დოქტორანტის ხელმძღვანელი კოლოკვიუმს აფასებს მაქსიმუმ 30 ქულით. შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით $S = 1.2 \times M$, სადაც M არის ხუთივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა.

3.3.7. დასკვნითი შეფასების მიზნით კვლევის შედეგები კოლოკვიუმის სახით, შესაბამისი სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (არაუგვიანეს მე-15 სასწავლო კვირისა) წერილობით წარედგინება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ქმნის 5-9 წევრისგან შემდგარ კომისიას, რომელშიც უნდა შედიოდნენ მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები. კომისიის მუშაობას უნდა დაესწროს დოქტორანტის ხელმძღვანელიც. კომისიაზე დოქტორანტი წარმოადგენს კვლევის მოცემულ ეტაპზე მიღებულ შედეგებს (10-15 წუთი).

3.3.8. კომისიის თითოეული წევრი კოლოკვიუმს აფასებს 5 კრიტერიუმის საფუძველზე (დანართი 7) მაქსიმუმ 40 ქულით. შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით $S = 1.6 \times M$, სადაც M არის ხუთივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა.

3.3.9 თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის/კოლოკვიუმის შედეგები ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, ორი შუალედური (30+30) და დასკვნითი (40) ქულების ჯამით.

3.3.10. კოლოკვიუმის დადებითი შეფასების შემთხვევაში (51 და მეტი ქულა), დოქტორანტი აგრძელებს სწავლას.

3.3.11. კოლოკვიუმის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში (51-ზე ნაკლები ქულა), დოქტორანტი განმეორებით წარადგენს ნაშრომს არსებული წესის შესაბამისად.

4. დისერტაციის დასრულება და დაცვა

3.4.1. დისერტაციის დასრულება და დაცვა კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია. დასრულებული დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. იგი უნდა ასახავდეს დოქტორანტის მიერ ჩატარებული თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს და/ან წყვეტდეს აქტუალურ

სამეცნიერო პრობლემას. მას უნდა ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შექმონდეს დარგის განვითარებაში.

3.4.2. დისერტაციის წარდგენის, მისი საჯარო დაცვისა და შეფასების პროცედურები დადგენილია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2012 წლის 26 ივნისს № 704 დადგენილებით დამტკიცებული „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“.

3.4.3. დისერტაციასა და მისი საჯარო დაცვის პროცესს აფასებს 7-9 კაცისაგან შემდგარი სადისერტაციო კოლეგია 100 ქულიანი სისტემით შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

- რამდენად აქტუალურია თემა _ შეფასება 25 ქულამდე;
- რამდენად მოიცავს იგი სიახლეს _ შეფასება 25 ქულამდე;
- რამდენად კარგად წარმოაჩენს მომხსენებელი თემაში დასმულ პრობლემას _ შეფასება 20 ქულამდე;
- რამდენად კარგად პასუხობს მომხსენებელი შეკითხვებს _ შეფასება 15 ქულამდე;
- რამდენად კარგად წარმოაჩენს ვიზუალურ მასალას _ შეფასება 5 ქულამდე;
- რამდენად კარგად არის გაფორმებული დისერტაცია _ შეფასება 10 ქულამდე;

3.4.4. დოქტორანტის საბოლოო ქულა განისაზღვრება კოლეგიის თითოეული წევრის მიერ მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი შემფასებელთა რაოდენობაზე).

3.4.5. დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება. სადისერტაციო ნაშრომის დადებითი შეფასებებია:

- (A) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი (91% და მეტი);
- (B) ძალიან კარგი (*magna cum laude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება (81-90%);
- (C) კარგი (*cum laude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება (71-80%);
- (D) საშუალო (*bene*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს (61-70%);
- (E) დამაკმაყოფილებელი (*rite*) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს (51-60%).

3.4.6. სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზის გამო ვერ აკმაყოფილებს (41-50%);
- (F) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს საერთოდ არ აკმაყოფილებს (40% და ნაკლები).

3.4.7. დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ სადისერტაციო კოლეგიის წევრთა უმრავლესობა მას „არადამაკმაყოფილებლად“ (41-50 ქულა- *insufficienter*) ან „სრულიად არადამაკმაყოფილებლად“ (41 ქულაზე ნაკლები-*sub omni canone*) აფასებს. კენჭისყრისას ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სადისერტაციო კოლეგიის თავმჯდომარის ხმა.

3.4.8.. არადამაკმაყოფილებელი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფლება აქვს სადისერტაციო საბჭოს წარუდგინოს განცხადება ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების (F) მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დანართი 1. კრედიტების განსაზღვრის პრინციპი პროფესორის ასისტენტობისთვის

პროფესორის ასისტენტობის კრედიტების მოცულობა განსაზღვრულია შემდეგი პრინციპით:

წინამდებარე წესის 2.3.3. ქვეპუნქტით განსაზღვრული დოქტორანტებისათვის:

- სემინარის, ლაბორატორიული სამუშაოს ან პრაქტიკულის თითოეულ ჩატარებულ საათს ემატება ოთხი საათი ანუ ის დრო, რომელიც დოქტორანტმა უნდა მოანდომოს მისთვის მზადებას. დოქტორანტმა სემესტრის განმავლობაში სემინარის, ლაბორატორიული სამუშაოს ან პრაქტიკულის სახით უნდა ჩაატაროს 20 საათი. მაშასადამე, აღნიშნული კომპონენტისთვის მას ესაჭიროება 100 სთ ($20+80=100$).
- შუალედური შეფასების საკითხების მომზადებისათვის დოქტორანტს სჭირდება 1 საათი. სულ 2 შუალედური შეფასების საკითხების მომზადებისათვის მას დასჭირდება 2 საათი. დასკვნითი გამოცდის საკითხების მომზადებისათვის დოქტორანტს სჭირდება 2 საათი. სულ შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის საკითხების მომზადებისათვის დოქტორანტს დასჭირდება 4 საათი.
- ერთი სტუდენტის შუალედური შეფასების ნაშრომის გასწორებისათვის დოქტორანტს სჭირდება 15 წთ., ხოლო დასკვნითი გამოცდის ნაშრომის გასწორებისათვის - 30 წთ. ამრიგად, დოქტორანტს 1 სტუდენტის ორი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის ნაწერების გასწორებისათვის სჭირდება 1 სთ. დოქტორანტმა უნდა გაასწოროს 25 სტუდენტის ორი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის ნაწერები. შესაბამისად, მას სულ დასჭირდება 25 სთ.
- შესაბამისი მეთოდოლოგიის დაუფლებისა და პროფესიული სრულყოფის მიზნით დოქტორანტი 6 სთ. უნდა დაესწოროს თავისი ხელმძღვანელის (ან სხვა რომელიმე სრული ან ასოცირებული პროფესორის) ლექციას.

ამრიგად, პროფესორის ასისტენტობის მოცულობა არის $100+4+25+6=135$ სთ ანუ $135/27=5$ კრედიტი.

წინამდებარე წესის 2.3.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოქტორანტებისათვის პროფესორის ასისტენტობისათვის განკუთვნილი კრედიტი განისაზღვრება შემდეგი პრინციპით:

15 სთ დოქტორანტის ხელმძღვანელთან კონსულტაციები (მათ შორის ონლაინ რეჟიმში) და 120 სთ. დამოუკიდებელი მუშაობისთვის - შესაბამისი სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის მარტივი სახელმძღვანელოს, ამოცანათა (კაზუსთა) კრებულის, დამხმარე ლიტერატურის ან სხვა მასალის მომზადება. ამრიგად, პროფესორის ასისტენტობა შეადგენს $15+120=135$ საათს ანუ $135/27=5$ კრედიტი.

დანართი 2. პროფესორის ასისტენტობის შეფასების კრიტერიუმები

1. სემინარის, ლაბორატორიული სამუშაოს ან პრაქტიკულის ჩატარება - 5 ქულა

4-5 ქულა	დოქტორანტი კარგად არის მომზადებული, ზედმიწევნით კარგად ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას. დასმულ შეკითხვებზე პასუხები სრულყოფილი, სწორი და დასაბუთებულია. დოქტორანტს გააზრებული აქვს და კარგად ერკვევა პრობლემურ საკითხში. სწავლების მეთოდებს იყენებს ეფექტურად, მიზნობრივად და კომპლექსურად.
3-4 ქულა	დოქტორანტი მომზადებულია, კარგად ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას. დასმულ შეკითხვებზე პასუხები სწორია, თუმცა შეკვეცილი. მას გააზრებული აქვს და ერკვევა პრობლემურ საკითხში. სწავლების მეთოდებს იყენებს მიზნობრივად და კომპლექსურად.
2-3 ქულა	დოქტორანტი არ არის კარგად მომზადებული. ფლობს სილაბუსით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება ნაკლოვანებები. დოქტორანტი მართალია იცნობს პრობლემურ საკითხს, მაგრამ გააზრებული არ აქვს იგი. დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები არ არის სრულყოფილი. მიზნობრივად იყენებს მხოლოდ სწავლების ცალკეულ მეთოდებს.
1-2 ქულა	დოქტორანტი ფაქტობრივად მოუმზადებელია. არასაკმარისად აქვს ათვისებული სილაბუსით გათვალისწინებული მასალა. დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები ბუნდოვანია. დოქტორანტი ვერ ერკვევა პრობლემურ საკითხებში. გამოყენებული სწავლების მეთოდები ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას.
0-1 ქულა	დოქტორანტი სრულიად მოუმზადებელია. ფლობს სილაბუსით გათვალისწინებული მასალის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს. დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხები არსებითად მცდარია ან პასუხი შეკითხვის შესაბამისი არ არის. სწავლების მეთოდები გამოყენებულია არაკვალიფიციურად ან აღნიშნული კომპონენტი არ არის შესრულებული საერთოდ.
<p>შენიშვნა: თითოეული 2 საათიანი სემინარის, ლაბორატორიული სამუშაოს ან პრაქტიკულის ჩატარება ფასდება 5 ქულით. დოქტორანტმა 10 ორსაათიანი სემინარის, ლაბორატორიული სამუშაოს ან პრაქტიკულის ჩატარების შემთხვევაში შესაბამისად შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 50 ქულა (10X5).</p>	

